




ანგარიშები

სისტემას მოყვება სტანდარტული ანგარიშთა გეგმა, როგორც კერძო ორგანიზაციებისთვის ასევე საბიუჯეტო ორგანიზაციებისთვის, იმის მიხედვით რა ტიპის მონაცემთა ბაზას შექმნით. იმისათვის რომ განახორციელოთ სხვადასხვა ტიპის ცვლილებები ანგარიშებზე შედით **ბუღალტერია/ანგარიშთა გეგმა** . განვიხილოთ რა თვისებებით ხასიათდება ანგარიშები. დადექით ნებისმიერ ანგარიშზე და დააჭირეთ ღილაკს  .



ველში „მშობელი“ მითითებულია მშობელი ანგარიში .რომელი ანგარიშის ქვეშაც არის გახსნილი თქვენს მიერ გაკორექტირებული ანგარიში.მშობელი ანგარიშის შეცვლა შეგიძლიათ.დადექით ველზე ნაშალეთ მითითებული ანგარიში და მიუთითეთ თქვენთვის სასურველი ანგარიში ,ასევე შეგიძლიათ  ღილაკზე დაჭერით გახვიდეთ ანგარიშთა გეგმაზე და აირჩიოთ სასურველი ანგარიში დააჭიროთ ღილაკს „ავირჩიოთ“.

ველში „ანგარიში“ მითითებულია ანგარიშის ნომერი შეგიძლიათ ანგარიშის ნომრის ველში მიუთითოთ როგორც ციფრები ასევე ტექსტი.

ველში „სახეობა“ მითითებულია ანგარიშის სახეობა. ანგარიშები რომელიც თავიდან არის ჩატვირთული სისტემაში ყველა ფინანსურია.

სახეობა	ფინანსური
	ფინანსური
	საგანი
	დებიტორ/კრედიტორი

სისტემაში შესაძლებელია გახსნათ როგორც ფინანსური ასევე , საგნის ანგარიშები და დებიტორ/კრედიტორების ანგარიშები.მოგვიანებით განვიხილავთ თითოეულ მათგანს.

ველში „დასახელება“ მითითებულია ანგარიშის დასახელება შეგიძლიათ უკვე არსებულ ანგარიშებსაც შეუცვალოთ დასახელება.

ველში „ტიპი“ მითითებულია ანგარიშის ტიპი . ანგარიში აქტიურია თუ პასიური .

ტიპი	აქტიური
	აქტიური
	პასიური

ველი „ბალანსგარეშე“ თუ ანგარიშს მონიშნული აქვს ეს ველი, მაშინ ასეთი ანგარიში არ იღებს მონაწილეობას ბალანსის შედგენაში.თუ გატარებაში მონაწილეობს ბალანსგარეშე ანგარიში სისტემა არ ამონშებს დისბალანსს გატარებაში.

ველი „დავუშვათ უარყოფითი რაოდენობრივი ნაშთი“ ეს მოსანიშნი გამოიყენება მხოლოდ ისეთ ანგარიშებზე რომელსაც ველში „სახეობა“ მითითებული აქვს „საგანი“.

ველში „ჩამონერის მეთოდი“ ეთითება საგნის ჩამონერის მეთოდი.

ჩამონერის მეთოდი	არცერთი
	არცერთი
	FIFO
	LIFO
	საშუალო


თუ ველში ველში „სახეობა“ მითითებული აქვს „საგანი“. მაშინ აუცილებელია ჩამონერის მეთოდში მიუთითოთ “FIFO” , “LIFO” ან “საშუალო” რათა სისტემამ საგნის ჩამონერისას დაითვალოს საგნის თვითღირებულება .

ველი „დახურული“ შეგიძლიათ მონიშნოთ იმ შემთხვევაში თუ ანგარიშზე აღარ გსურთ განახორციელოთ ბრუნვა, ასეთი ანგარიში ვერ მიიღებს მონაწილეობას გატარებების შესრულებაში.

ველში „კომენტარი “ შეგიძლიათ მიუთითოთ თქვენთვის სასურველი ნებისმიერი რამ .ველი „კომენტარი“ იტევს 500 სიმბოლოს.

განვიხილოთ როგორ ხდება თითოეული სახეობის ანგარიშის დამატება.

დაამატეთ ფინანსური ანგარიში. დადექით იმ ანგარიშზე რომლის ქვეშაც გსურთ

ახალი ანგარიშის შექმნა (ამ შემთხვევაში 1100) დააჭირეთ ღილაკს 

ველში „სახეობა“ მითითებულია ფინანსური და არ შეცვალოთ რადგან ხსნით ფინანსურ ანგარიშს.

ველში „დასახელება“ მიუთითეთ დასახელება (მაგ: ახალი ანგარიში)


ანგარიშის ველის ტიპიც ამ შემთხვევაში დატოვებთ უცვლელი. დააჭირეთ ღილაკს „შევინახოთ“.

1000	მიმდინარე აქტივები
1100	ნაღდი ფული სალაროში
1110	ნაღდი ფული ეროვნულ ვალუტაში
1120	ნაღდი ფული უცხოურ ვალუტაში
1121	ახალი ანგარიში


ვნახოთ თუ როგორ ხდება საგნის ანგარიშის გახსნა. დადებით იმ ანგარიშზე რომლის ქვეშაც გსურთ ახალი ანგარიშის შექმნა (ამ შემთხვევაში 1610) დააჭირეთ ღილაკს ველში „სახეობა“ აირჩიეთ „საგანი“ გამოსულ ეკრანზე დააჭირეთ ღილაკს

საგნების ცხრილში ხდება როგორც საქონლის დამატება, ასევე ძირითადი საშუალების ან მომსახურების. გამოსულ ეკრანზე აირჩიეთ საგნის ტიპი . საგნის თითოეულ ტიპს ანგარიშთა გეგმაში აქვს თავის ფერი. ამ შემთხვევაში მონიშნეთ „საქონელი“ დააჭირეთ ღილაკს „ავირჩიოთ“. გამოსულ ეკრანზე მიუთითეთ

საქონლის დასახელება (მაგ: ახალი საქონელი) და დააჭირეთ ღილაკს „შევიწახოთ“.




დააჭირეთ ღილაკს „ავირჩიოთ“.



გამოსულ ეკრანზე მიუთითეთ თქვენთვის სასურველი საგნის ჩამონერის მეთოდი და დააჭირეთ ღილაკს „შევიწახოთ“.

1600	სასაქონლო-მატერია
1610	საქონელი
1610 1	1 ახალი საქონელი

ვნახოთ თუ როგორ ხდება დებიტორ/კრედიტორის ანგარიშის გახსნა. დააჭირეთ იმ ანგარიშზე რომლის ქვეშაც გსურთ ახალი ანგარიშის შექმნა (ამ შემთხვევაში 1410) დააჭირეთ ღილაკს . გამოსულ ეკრანზე ველში „სახეობა“ აირჩიეთ „დებიტორ/კრედიტორი“ დააჭირეთ ღილაკს



დებიტორ/კრედიტორების ცხრილში შესაძლებელია როგორც ორგანიზაციების ისე პიროვნებების დამატება .ორგანიზაციებს და პიროვნებებს აქვთ ანგარიშთა გეგმაში

სხვადასხვა ფერი.აირჩიეთ „ორგანიზაცია“ დააჭირეთ ღილაკს „ავირჩიოთ“.შეავსეთ გამოსული ეკრანი შესაბამისი ინფორმაციით (ამ შემთხვევაში მიუთითეთ დასახელებაში ახალი ორგანიზაცია) დააჭირეთ ღილაკს „ავირჩიოთ“.

დააჭირეთ ღილაკს „შევიწახოთ“

1400	მოკლევადიანი მოთხოვნები
1410	მოთხოვნები მიწოდებიდან
1410 1	1 ახალი ორგანიზაცია